# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება №258

## 2020 წლის 22 აპრილი

## ქ. თბილისი

## „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მუხლი 1**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/03/2020, 120160030.10.003.021892) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებში“ მე-2 მუხლის $6^1$ პუნქტის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პ) სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების მიზნით გადაადგილებას, რომელიც დასაშვებია 06:00 საათიდან 08:00 საათამდე და 18:00 საათიდან 19:00 საათამდე პერიოდში (გარდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა), ასევე სასოფლო-სამეურნეო მანქანის/ტექნიკის გადაადგილებას;“.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 22 აპრილიდან.

**პრემიერ - მინისტრი** **გიორგი გახარია**